



სიახლეებით სავსე წელიწადი

GMS-თან ერთად დასასრულს მიუახლოვდა

ჩვენი კორპორაციული გაზეთის გამოსვლიდან სულ მალე ერთი წელი შესრულდება. ჩვენ სისტემატურად ვაშუქებდით თქვენთვის იმ მნიშვნელოვან სიახლეებსა და ღონისძიებებს, რომელიც კომპანია GMS-ის ორგანიზებით ინერგებოდა და ეწყობოდა. გაზეთის ამ ნომერში გვსურს კიდევ ერთხელ ერთად გადავხედოთ 2010 წელს ჩვენი კომპანიის მიერ განუღებულ მუშაობას.

მართალია საქართველოს ჯანდაცვის სისტემა დღით-დღე ვითარდება, მაგრამ მსოფლიო ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, საქართველოს კლინიკებისა და საავადმყოფოების აღჭურვილობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხზე. ამ პრობლემებში ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიის შ.პ.ს. GMS-ს მუშაობა, რომელიც სამედიცინო აპარატურისა და სახარჯი მასალების მსოფლიოში ცნობილი მწარმოებელი კომპანიების დისტრიბუტორია საქართველოში. ქვეყნის სამედიცინო სივრცეში ჩვენ მხოლოდ უახლესი ტექნიკით აღჭურვილ მაღალი ხარისხის სამედიცინო აპარატურას ვწარმოებთ, რითაც მომსახურების სფეროში ახალ ფასეულობებს ვამკვიდრებთ. საბოლოო ჯამში კი ეს ყოველივე რიგითი მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აისახება.


კომპანია GMS ამავობს მსოფლიოში ცნობილ ისეთ კომპანიებთან პარტნიორობით, როგორცაა Johnson&Johnson; ორთოპედიული პროდუქციის, კერძოდ, სხვადასხვა ტიპის ონკოლოგიური და რევიზიული მოდულარული პროთეზების მწარმოებელი გერმანული კომპანია implantcast; ინოვაციური და საუკეთესო ხარისხის სტენტების მწარმოებელი გერმანული ფირმა amg international; თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მწარმოებელი, მსოფლიო ბაზრის ლიდერი ამერიკული კორპორაცია General Electric (GE). მათ რიცხვს ახლახან ლაბორატორიული დანადგარების მწარმოებელი უნგრული კომპანია DIAGON შეემატა.

2010 წლის 1 მარტს საქართველოს არითმოლოგიაში ახალი ეპოქა დაიწყო. ქუთაისის "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში", პირველად ამიერკავკასიაში, არითმიებისგან განკურნების სამგანზომილებიანი ნავიგაციური კარტირების სისტემა CARTO



XP დაინსტალირდა. ის ელექტროფიზიოლოგიური და არითმოლოგიური აპარატურის დაგვირგვინებაა, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს კრიტიკულ წერტილებს, რომელთა აბლაციითაც რადიკალურად იკურნება ყველა ტი-

პის არითმია. იყო დრო, როდესაც ქართველი პაციენტები სომხეთსა და თურქეთში მიდიოდნენ გულის პრობლემების მოსაგვარებლად, ახლა კი პირიქით, CARTO XP ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას. არ შეგვიძლია არ ავლიწმნოთ ჩვენი თანამემამულეების, მოსკოვის ა.ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის წამყვანი არითმოლოგების მხარდაჭერა-პირველი ოპერაციები მოციმციმე და თანდაყოლილ არითმიაზე სწორედ მათ ჩაატარეს, მოაწყვეს სისტემა CARTO XP-ს პრევენტაცია და კონფერენცია თემაზე: "არითმიების მკურნალობის თანამედროვე მეთოდები."



წელიწადზე მეტია საქართველოში ონკოპროთეზირება უკვე implantcast-ის ანტიალერგიული საფარით მოპირკეთებული ონკოლოგიური და რევიზიული მოდულარული პროთეზებით კეთდება. ამ პროდუქციით პირველი ოპერაციებიც ქუთაისის "ეროვნულ ცენტრში" ჩატარდა. ამ დრომდე სხვადასხვა ფირმის არასრულფასოვანი და შეზღუდული შესაძლებლობების ონკოპროთეზების გამოყენებისას ქირურგი იძულებული იყო ავადმყოფი მოერგო პროთეზისათვის. implantcast-ის მოდულარული პროთეზებით კი



ადამიანის ზედა და ქვედა კიდურის ნებისმიერი ძვალი და სახსარი იცვლება. implantcast-ის Mutars-ის მოდულარული პროთეზების უნიკალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ოპერაციის მსვლელობის დროსაც კი შეიძლება ტაქტიკის შეცვლა და ცალკეული კომპონენტის კონკრეტული ადამიანის ანატომიის მოთხოვნის შესაბამისად

დალაგება ანუ ახლა პროთეზს მოარგებ ავადმყოფს.

2010 წლის 18-19 მაისს თბილისის სახელმწიფო საუნივერსიტეტო კლინიკურ საავადმყოფოში ჰამბურგის ალბერტინ კრანკენჰაუსის ჰოსპიტალის ექიმმა პროფესორმა ჰაიზე ულრიჰმა მოდულარული პროთეზებით 4 პაციენტს უფასოდ ჩაუტარა პროთეზირება, 20 მაისს კი ქართველი ორთოპედებისათვის კონფერენცია მოეწყო თემაზე: "ონკოლოგიური და რევიზიული პროთეზირება". 30 ივნისს პროფესორი ჰაიზე ულრიჰი და კომპანიის implantcast წარმომადგენელი ვადიმ ლიუბიცი კვლავ ეწვივნენ საქართველოს. ამჯერად ბატონმა ჰაიზემ ქუთაისის "ეროვნულ ცენტრში" გააკეთა სამი ურთულესი ოპერაცია და ორთოპედ-ტრავმატოლოგ





მერაბ კაპანაძესთან ერთად კვლავ მოაწყო კონფერენცია ქართველი ორთოპედებისათვის, ხოლო თბილისის სახელმწიფო საუნივერსიტეტო კლინიკურ საავადმყოფოში ორი ოპერაცია ჩაატარა და უფასო კონსულტაციები გაუწია ქართველ პაციენტებს.

GMS-ის თანამშრომელთა გუნდი აქტიურად უდგას გვერდში ჰემატოლოგიის და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტს სისხლის ბანკის შევსებაში. 2010 წლის 16 ივლისს - დონორთა საერთაშორისო დღეს კომპანია GMS-ის თანამშრომლებმა უანგაროდ ჩააბარეს

სისხლი, სისხლის ბანკის შესავსებად. მოგეხსენებათ, ეს ინსტიტუტი, პირველ რიგში, დონორისაგან სისხლისა და მისი პრეპარატების დამზადებას ემსახურება, რაც ძალიან საპასუხისმგებლო მომენტია. კლინიკების ლაბორატორიებიდან კი ანალიზები ვირუსებსა და საშიშ ინფექციებზე გადასამოწმებლად მოდის. ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორია დღეს აბსოლუტურად გამართულია და სრული დატვირთვით მუშაობს. უახლესი მაღალტექნოლოგიური აპარატურა ინოვაციური, ავტომატური ბიოქიმიური და იმუნოჰემატოლოგიური ანალიზატორები, იმუნოდიაგნოსტიკური სისტემა და რეაქტივები ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე ხარისხიან, მაქსიმალურად ინფორმატიულ მონაცემებს იძლევა, ხოლო შტრიხ-კოდირების თანამედროვე სისტემაზე დაყრდნობით დონორებისა და პაციენტების შესახებ ინფორმაციის ინსტიტუტის ელექტრონულ ბაზაში არქივაციას უზრუნველყოფს. დღეს ჩვენს მოსახლეობას საშუალება აქვს იზრუნოს საკუთარ ჯანმრთელობაზე. ეს კი შ.პ.ს. GMS-ის ხელშეწყობით ხდება.



26 ივლისს სასტუმრო "თორში" ამერიკული კორპორაციის General Electric-ისა და GMS-ის მიერ ორგანიზებული პრეზენტაცია მოეწყო. კომპანიის 5 ქვედანაყოფიდან ერთ-ერთი GE Healthcare თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის წარმოებით მსოფლიო ბაზრის ლიდერია. მისი

პროდუქცია კომპიუტერულ ტომოგრაფებს, რენდგენს, მაგნიტურ-რეზონანსულ მონოკობილოებს, იზოტოპურ გამა-კამერებს, აპარატურას მამოგრაფიული გამოკვლევებისათვის, ულტრაბგერით და რადიაციულ სამედიცინო ხელსაწყოებს მოიცავს. კომპანია მუდმივად ხვეწს სადიაგნოსტიკო საშუალებებს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო საავადმყოფოების დაარსებასა და განვითარებაში დიდი ხნის გამოცდილება აქვს. ის მომხმარებელს მრავალასპექტიან პაკეტს სთავაზობს ბიზნეს გეგმითა და საავადმყოფოს არქიტექტურული დიზაინის შემუშავებით დაწყებული, აპარატურის მიწოდებით, საავადმყოფოს მენეჯმენტითა და პროექტის დაფინანსების კუთხით მხარდაჭერის შეთავაზებით დამთავრებული.



GE თურქეთის ცენტრალური აზიის ოფისის წარმომადგენლებმა ნური ერთუგმა (Turn-key დასრულებული პროექტების ბიზნეს-მენეჯერი) და ბუგრა თუნქაიმ (რენდგენის მიმართულების სპეციალისტი) წარმოადგინეს. პრეზენტაციას სხვა სტუმრებთან ერთად სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომელთაც საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საავადმყოფოების განვითარებისათვის ვალდებულებები აქვთ აღებული. უკვე შემუშავებულია კონკრეტული გეგმები პროექტის რომელ ნაწილს აიღებს თავის თავზე GMS და რომელს GE.



კიდევ ერთი საქველმოქმედო აქცია მოეწყო თბილისის №198-ე საჯარო სკოლაში. სამწუხაროდ, ჩვენს გარშემო არიან ბავშვები, რომლებიც სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს განიცდიან, რაც მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობითაა გამოწვეული. თბილისის №198-ე საჯარო სკოლა სწორედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მოზარდების სასწავლო პროცესში ჩართვას, მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებას და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას ემსახურება. სკოლის დირექცია და კვალიფიციური სპეციალისტები: პედაგოგები, ფსიქოლოგები, ლოგოპედები, სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორები და ექიმები ძალ-ღონეს არ იშურებენ და მზრუნველობას არ აკლებენ მათ, სწავლისა და სოციალური რეაბილიტაციის პროცესს სწავლების უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე წარმართავენ, მაგრამ ამ ბავშვებს თითოეული ჩვენთაგანის მხარდაჭერა და თანადგომა ესაჭიროება. კომპანია Johnson&Johnson და GMS უკვე ორი წელია შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ.



14 დეკემბერს მოსწავლეებმა წინასახალწლო ზეიმზე დაგვპატიყეს: იმდერეს, ლექსები წაიკითხეს, თოჯინების სპექტაკლი "კომბლე" წარმოადგინეს და თოვლის ბაბუასთან ერთადაც იმხიარულეს. ჩვენც, რა თქმა უნდა, ხელცარიელები არ მი-



GMS **GMS** **GMS** **GMS** **GMS** **GMS**





ვსულვართ, საახალწლო საჩუქრები გადავაციტ და ზეიმსაც სიამოვნებით დავ-ესწართ.

შ.პ.ს. **GMS**-ის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას და თანამშრომელთა უნარჩვევების

განვითარებას, ამიტომ აქტიურად ვმონაწილეობთ საერთაშორისო გამოფენებში, ვანყობთ ტრენინგებსა და სემინარებს. წელს კომპანია **GMS**-ისა და **Johnson&Johnson**-ის ხელშეწყობით, ქუთაისის აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ცენტრის კარდიოლოგები ესწრებოდნენ ანგიოქირურგთა კონფერენციას ამსტერდამში, ჩვენი თანამშრომლები და პარტნიორი კლინიკების ექიმები დაესწრნენ ციურისში კონფერენციას თემაზე: "მენეჯმენტი და ჰოსპიტალური მონყობა". ჰემატოლოგები როგორც ქუთაისის კლინიკიდან ასევე ჰემატოლოგიის და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტიდან დაესწრნენ ჰემატოლოგთა მსოფლიო კონგრესებს პარიზსა და იერუსალიმში, **GMS**-ის პარტნიორი კლინიკების ტრავმატოლოგები წელიწადში ორჯერ ესწრებიან **implantcast**-ის

მიერ მონყობილ კონფერენციებს პალმა-დე-მალიორკაზე. **GMS**-ის თანამშრომლები ყოველწლიურად ესწრებიან დუსელდორფის ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენას **MEDICA**-ს, სადაც სამედიცინო ტექნიკისა და სახარჯი მასალების მწარმოებელი მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი კომპანიაა წარმოდგენილი. ასევე დაესწრნენ **General Electric**-ის მიერ მონყობილ ტრენინგზე: **GE**-ის სერვისის ოპერირება. და კიდევ ბევრი მაგალითის ჩამოთვლა შეგვიძლია თუმცა თავს აღარ მოგანყენო.

და ბოლოს, ჩვენი ძვირფასო მკითხველო პარტნიორებო და მომხმარებლებო, **GMS**-ის ხელმძღვანელობა გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ჯანმრთელობას,



შემოქმედებით წინსვლას. მომავალ წელს ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს მორიგი სიახლეებით და ვეცდებით ეს შეხვედრები ყოველთვის საინტერესო იყოს თქვენთვის.



Tbilisi's Jo Ann Medical Center - first in Georgia to install CARTO XP system



2010 წლის 20 ნოემბერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" საკონფერენციო დარბაზ "კალაში" არითმოლოგებისა და კარდიოლოგების კონფერენცია მოეწყო თემაზე: "თანამედროვე ტექნოლოგიები არითმიების მკურნალობაში," რომლის ორგანიზატორიც გახლდათ **Johnson & Johnson Medical Limited** -ის წარმომადგენლობა საქართველოში.

ლონისძიებას წინ უძღვოდა **The Jo Ann Medical Center** -ში სამგანზომილებიანი ნავიგაციური კარტირების სისტემა **CARTO XP**-ს დაინსტალირება.

საქართველოს არითმოლოგიაში ახალი ეპოქა 2010 წლის 1 მარტს დაიწყო, როდესაც კომპანია "ბლოკ ჯორჯიას" ეგიდით ქუთაისის "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში", პირველად ამიერკავკასიაში, **CARTO XP** დაინსტალირდა და მოსკოვის ა.ნ. ბაკულევის სახ. გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის წამყვანმა ქართველმა არითმოლოგებმა პირველი ოპერაციები ჩაატარეს. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში "ეროვნულ ცენტრში" ათეულობით პაციენტი განიკურნა სხვადასხვა სახის არითმიისაგან. სწორედ ამ ოპერაციების შესახებ ისაუბრა კონფერენციაზე თავის მოხსენებაში: "წინაგულთა ფიბრილაციის კა-

თეტურული აბლაციის პირველი გამოცდილება საქართველოში" "ეროვნული ცენტრის" არითმოლოგმა გიორგი ჩხოლარიამ.

მოგეხსენებათ, არითმიები კარდიოლოგიაში ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. საქართველოში ეს დაავადება განუკურნებელ, ქრონიკულ დაავადებად ითვლებოდა, რადგან გულსისხლძარღვთა სისტემაში ორგანული დარღვევის მედიკამენტოზური მკურნალობის და მედიკამენტოზური კორექციის გზით განკურნება შეუძლებელია. მაგრამ, საბედნიეროდ არითმოლოგია დღითიდღე ვითარდება და თანამედროვე მაღალტექნოლოგიური აპარატურის მეშვეობით უკვე ახერხებს არითმიების სრულყოფილად მართვას. მსოფლიოს წამყვანი ელექტროფიზიოლოგების აზრით **CARTO XP** 2არის საუკეთესო, რაც დღეს მსოფლიოს მონინავე ტექნოლოგიაში არსებობს. ის გულის სამგანზომილებიანი მოდელის აგების საშუალებას იძლევა და ანატომიურ სიტუაციასთან ერთად იმპულსების გავრცელების სურათსაც გვიჩვენებს. 1 მმ.-ის სიზუსტით აღმოჩენილი არითმიის კერა უკვე ელექტროსიხშირული დენის ზემოქმედებით ნადგურდება. არითმიით დაავადებული ადამიანები **II** ჯგუფის ინვალიდებად ითვლებიან, ოპერაციის შემდეგ კი აბსოლუტურად ჯანმრთელები ხდებიან. ისეთი რთული არითმიის განკურნება კი როგორც მაგ. მოციმციმე არითმიაა, რომელიც დედამიწის მოსახლეობის 6%-ს აწუხებს, **CARTO XP** სისტემის გამოყენების გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია.

კონფერენციას უძღვებოდა საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ნ. ყიფშიძის სახ. თერაპიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ვახტანგ ჭუმბურიძე. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ არითმოლოგიის სამსახური დღეს საქართველოში სწრაფად და დინამიურად ვითარდება. უკვე გვაქვს რამდენიმე სამედიცინო ცენტრი არითმოლოგიური განყოფილებით. სულ მალე კი ჩამოყალიბდება არითმოლოგთა სპეციალური ასოციაციაც.

ვახტანგ ჭუმბურიძე: "საქართველოში არითმიების ქირურგიული მკურნალობის ტრადიციას 40 წლის ისტორია აქვს. თავდაპირველად არითმიების ქირურგიული მკურნალობის რესპუბლიკური ცენტრი საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა, რომელიც შემდეგ თერაპიის ეროვნულ ცენტრს შეერწყა. ამ პერიოდში სტიმულატორის 5000-მდე იმპლანტაცია განხორციელდა, რაც იმ დროისათვის დიდი წარმატება იყო. შემდგომი დიდი ნაბიჯი გახლდათ ბატონ ან-



ზორ მედიას მიერ კლინიკა "გულის" შექმნა, სადაც არითმოლოგიის სპეციალური განყოფილება გაიხსნა, რომელსაც დღემდე არითმოლოგ-კარდიოლოგი ხათუნა ჯალაბაძე უდგას სათავეში. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქუთაისის "ეროვნული ცენტრმა". და აი, თბილისის "ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრში" შეიქმნა ახალი ტიპის არითმოლოგიური სამსახური, რაც მიგვანიშნებს, რომ სულ მალე საქართველოში ნამდვილად სრულყოფილი არითმოლოგიური სერვისი გვექნება, რომელიც რთულ ელექტროფიზიოლოგიურ კვლევებსაც მოიცავს".


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრიის პირველმა მოადგილემ ირაკლი გიორგობიანიმა, თავის მისასალმებელ სიტყვაში, სამინისტროს სახელით დამსწრე საზოგადოებას კარდიოლოგიის განვითარებაში მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა.

ტაქიარითმიების რადიკალური მკურნალობის მეთოდზე-კათეტერულ აბლაციაზე, ასევე ნინაგულთა ფიბრილაციის კათეტერული აბლაციის ისტორიაზე, ჩვენებებზე, ტექნიკასა და შედეგებზე ვრცლად ისაუბრა "ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრის" არითმოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა: "პირველი კათეტერული აბლაცია-ავეკვანძის დესტრუქცია 1981 წელს ჩატარდა და გაუკეთდა პაციენტს, რომლის გულისცემის სიხშირის კონ-



ტროლი მედიკამენტოზური გზით არ ხერხდებოდა. დროთა განმავლობაში კათეტერული აბლაცია მნიშვნელოვნად დაიხვეწა. დღეს მისი ყველაზე უხშირესი ენერჯის წყარო ძალიან კარგად კონტროლირებადი რადიოსიხშირული ენერჯიაა, რომელიც კათეტერისა და ქსოვილის საზღვარზე ქსოვილის რეზიტიულ გახურებას იწვევს და ვითარდება კოაგულაციური ნეკროზი. შესაბამისად, თუ ეფექტურად დავაზიანებთ იმ უბანს, რომელიც ამა თუ იმ არითმიის სუბსტრატს წარმოადგენს, შევძლებთ არითმიის სრული ილუმინაცია მოვახდინოთ. არსებობს ალტერნატიული ენერჯის წყაროებიც-ლაზერული, ულტრაბგერა, მიკროტალღები და სხვა. კათეტერული აბლაცია ჰოპერაციული ჩარევა არ არის-ამ დროს არ ხდება გულმკერდის გაკვეთა. ბარდაყის ვენიდან გულში მოთავსებული რამდენიმე კათეტერი გულის შიგნიდან ელექტრული აქტივობის ჩანერას

და გულის სხვადასხვა უბნის სტიმულაციას ახდენს. სწორედ ასე ვგებულობთ საიდან მოდის არითმია და სად უნდა მოხდეს მისი აბლაცია. ყველა თანამედროვე კათეტერის წვერი ტემპერატურის სენსორითაა აღჭურვილი, რომლითაც ზუსტად კონტროლდება ენერჯის სიმძლავრე და მიღწეული ეფექტი, რათა არ მოხდეს ქსოვილის ზედმეტი დაზიანება ან პირიქით-არ იყოს ენერჯის უეფექტო მიწოდება.



CARTO XP-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა ისიც, რომ ეს ყველაფერი ხდება ფლუროსკოპიის ანუ მაიონიზებული რადიაციის გარეშე, რადგან ფლუროსკოპიის ხანგრძლივი დროით გამოყენება სერიოზული დასხივებაა პაციენტისთვისაც და მედპერსონალისთვისაც".

მოხსენებით: "კათეტერული აბლაციის ჩვენებები თანამედროვე გაიდლაინების მიხედვით" დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა კლინიკა "გულის" დირექტორის მოადგილე ხათუნა ჯალაბაძე.

CARTO XP-ს მნიშვნელობაზე ისაუბრეს: ზოგადად თანამედროვე აბლაციაში-ბელგიელმა პროფესორმა რენე ტავერნიემ, სუპრავენტრიკულური ტაქიარითმიების აბლაციაში კლინიკა "გულის" არითმოლოგ-კარდიოლოგმა კახაბერ ეცადაშვილმა, ხოლო პარკუჭოვანი არითმიების აბლაციაში მოსკოვის ა.ნ. ბაკულევის სახ. გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის ელექტროფიზიოლოგმა როინ რეკვაავამ: "ჩვენ მივიღტვით იქით-კენ, რომ ყველა არითმიის ეპიკარდიული დიაგნოსტიკა პაციენტის სხეულის მთლიანობის დაურღვევლად, ხოლო მათი მკურნალობა დისტანციური მეთოდებით მოვახდინოთ. ვფიქრობ, რომ მომავალი ასეთია."

კონფერენციას კარდიოლოგებისა და არითმოლოგების გარდა ესწრებოდნენ სადაზღვევო კომპანიების, პრესის, ტელევიზიის, შ.პ.ს. GMS-ისა და კომპანია Johnson & Johnson Medical Limited -ის წარმომადგენლები.



ვილოცავთ შობა-ახალ წელს!
ვისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას

GMS GMS GMS GMS GMS GMS

